PDF Eraser Free



*დანართი №2*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯი „ფაზისის“ მიერ „სკოლამდელი აღზრდის“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები**<br>**თავმჯდომარე**: ლევან მადათოვი<br>**წევრები:** ქეთევან ღვანიძე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

**სახე**:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის MES 0 21 0000301233 ბრძანების შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე - ლევან მადათოვი, წევრი - ქეთევან ღვანიძე) დაევალა სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ მიერ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შესწავლილ იქნა დაწესებულების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, შემუშავდა დისტანციური გასაუბრების განრიგი. ონლაინ ჩართვა დაწესებულებასთან შედგა 2021 წლის 22 აპრილს. გასაუბრება შედგა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, ასევე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მოხდა მატერიალური რესურსების, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება და შედგა გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ონლაინ შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:
არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება დ ააღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VII.რეკომენდაციების შეჯამება
არ დაფიქსირებულა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სკოლამდელი აღზრდა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | კოლეჯ „ფაზისი“–ს დირექტორის ბრძანება #01/15 09.03.2021 წელი |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. #54 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 20 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 კრედიტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2.საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“*

1. *პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი“ (მუხლი 2 –ი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპები“) დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამის დამატების შესახებ ინიციატივა წარედგინება კოლეჯის დირექტორს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ (კოლეჯის დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, და ა.შ) , ამისათვის საჭიროა არსებობდეს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, დაწესებულების მისიასთან თავსებადობა, შრომის ბაზრის მოთხოვნები, ადგილობრივი პრიორიტეტები, კოლეჯის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების შესაბამისობის დასაბუთებით. პროგრამის დამატების პროცესის წარმართვისათვის კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური–სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის საინიციატივო ჯგუფს, რომელიც დირექტორს წარუდგენს პროგრამის დამატებისათვის საჭირო შესაბამის დოკუმენტაციას. შემუშავებული პროგრამის ადაპტირებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, შესყიდვების სპეციალისტი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. ადაპტირებული პროგრამის პროექტს ქმნის კოლეჯის დირექტორის მოადგილე/სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და აღნიშნულს დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების დირექტორს, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ამტკიცებს აღნიშნულ პროგრამას.

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტად წარმოდგენილია ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოგზავნილი საპასუხო წერილი (13.03.2021წ. # 42–422107155) სადაც ქ. ფოთის მერი აღნიშნავს, რომ ქალაქში 15 სკოლამდელი დაწესებულებაა, სადაც ირიცხება 2000–ზე მეტი აღსაზრდელი, რომელთაც ემსახურება შესაბამისი პერსონალი (382 დასაქმებული, მათ შორის 157 აღმზრდელი). აღნიშნული პერსონალის კვალიფიკაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ასამაღლებლად და სათანადო ცოდნის მისაღებად ქალაქის მერის აზრით აუცილებელია ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობდეს შესაბამისი დაწესებულება, რომელიც მოამზადებს და გადაამზადებს *აღნიშნული დარგის სპეციალისტებს. ქ. ფოთის მერი აღნიშნავს, რომ მიესალმება სსიპ კოლეჯი „ფაზისი“–ს წინადადებას დანერგოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“, რომლის მიზანი იქნება მოამზადოს კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრი, რომლებიც შესაბამისად შეძლებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე ზრუნვას, აღზრდასა და განვითარებას.*

*გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატებასთან დაკავშირებით გამომდინარეობს კოლეჯის სტრატეგიული გეგმიდან და შეესაბამება დაწესებულების მისიას. კოლეჯის მისიაა: წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში; შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, შესაბამისი კვალიფიციური და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადება; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.*

2. ***საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;***

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია სსიპ კოლეჯი „ფაზისი“–ს სასწავლო პროცესის მარეგურილებელი დოკუმენტით „ პროფესიული სტუდენთა დებულება“ სადაც განსაზღვრულია: აპლიკანტთა მიღების გამოცხადება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურები. ამავე წესითაა განსაზღვრული ასევე პროფესიული სტუდენტის მობილობის, სწავლის შედეგების აღიარებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესები.

3. ***პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;***

დაწესებულების მიერ გადმოგზავნილია დოკუმენტი „პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელის თანახმადაც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს დაწესებულებაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისი სასწავლო სივრცის არსებობას, კერძოდ A,B და C გარემოებს, რომლებიც აღჭურვილი იქნება სწავლებისათვის აუცილებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურით .

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ დაწესებულება განაცხადის მიხედვით ითხოვს 15 სტუდენტის მიღებას, თუმცა ვიზიტის მიმდინარეობისას გასაუბრებიდან გაირკვა, რომ აღნიშნული რაოდენობა მითითებულია შეცდომით, რაც ტექნიკური შეცდომაა და დაწესებულებას სურვილი აქვს მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ სწავლებისათვის გამოყოფილი გარემო და დადგინდა, რომ იგი საშუალებას იძლევა მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში.

4. *საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;*

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5. *საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;*

არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. *საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 მარტის #01/15 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი“ მუხლი 2 პუნქტი 2.8 ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. *პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;*

პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა " სკოლამდელი აღზრდა", იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4.წარმატებული,უსაფრთხო,მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;

პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი" საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

8. *პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.რომელშიც ასახულია მოდულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული) პროგრამის ხანგრძლივობა – 21თვე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია, პროგრამის ხანგრძლივობა – 26 თვე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- მარეგულირებელი დოკუმენტით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი“;
- „პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
- დაწესებულების წესდება;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.2საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1**პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ***პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;***

წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 20 პროფესიულ სტუდენტზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ დისტანციურად მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა,რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო, #302 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 20 პროფესიულ სტუდენტზე, 1 კომპიუტერი, 1დაფა, 1პროექტორი, 1 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი) და 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სურს 20 სტუდენტის დამატება.

საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს ჰყავს ორი პარტნიორი ორგანიზაცია : შპს „გიმნაზია“ და „ი/მ ნანა კულუა“. დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობის დროს წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და ასევე მემორანდუმი, რომელიც გაფორმებულია კოლეჯსა და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, აღნიშნული მემორანდუმი მიზნად ისახავს პარტნიორობა გაუწიოს კოლეჯს და პროფესიული სტუდენტებს საშუალება მისცეს პრაქტიკა გაიარონ ქ. ფოთის სახელმწიფო ბაგა–ბაღებში, რომელთა შერჩევის უფლებაც ექნება დაწესებულებას, მისთვის სასურველი ბაგა–ბაღის ადგილმდებარეობისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს საშუალება ექნება პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის ნაწილი გაიაროს , როგორც ქ. ფოთის კერძო, ასევე სახელმწიფო ბაგა–ბაღებში, შეადაროს და დააკვირდეს სასწავლო–სააღმზრდელო პროცესს, ბაგა–ბაღის გარემოს და უშუალო შეხება ჰქონდეს სხვადასხვა ასაკის აღსაზრდელებთან.

***2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;***

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 9 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 5 ზოგადი და 4 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი;

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;*

პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის წესი განსაზღვრულია სსიპ კოლეჯში ,,ფაზისი'' არსებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესით“, ხოლო მათი უფლება–მოვალეობები გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესში. აღნიშნული წესის თანახმად, კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისას, კანდიდატთა გასაუბრებით შერჩევის გარდა, შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესიც. კონკურსის მიზანი და ამოცანა კი დაწესებულებისათვის არის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა და კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობისა და პიროვნული თვისებების შეფასება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების პროფესიული განათლების განმახორციელებელ პირებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული პიროვნებები დაკავებულ პოზიციაზე შეირჩნენ კვცალიფიკაციისა და მათი სამუშაო გამოცდილების შესაბამისად. ყველა მათგანს აქვს პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ პროფესიაში. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეულ მასწავლებლებს არ აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება, თუმცა დაწესებულების თქმით მუდმივად მიმდინარეობს მათი დატრენინგება, როგორც კოლეჯის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის, ასევე კოლეჯის უკვე გამოცდილი პროფესიული მასწავლებლების მიერ.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებს დაწესებულებამ მიაწოდა განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება აღნიშნულ პირთა გამოცდილება და კვალიფიკაცია.

*4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;*

კოლეჯს პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური, დარგის სპეციალისტი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება მისი პირადი საქმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები განსაზღვრულია სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის 2021 წლის 12 მარტის #01/18 ბრძანებით, რომლის თანახმადაც პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: კოლეჯში სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება, მეთოდოლოგიური კონსულტაციების გაწევა პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ წერილობითი ანგარიშის წარდგენა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის შესაბამისი ბრძანებით. გასაუბრებისას დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, მონაწილეობა მიიღოს პროგრამის, სასწავლო გეგმისა და მოდულების შემუშავებაში, კალენდარული გეგმების შედგენაში, პრაქტიკის ობიექტების შერჩევასა და ხელშკრულების მომზადებაში, პრაქტიკაზე სტუდენთა დასწრების კოორდინირება/მონიტორინგში; პროგრამისათვის კვალიფიციური კადრების შერჩევასა და პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სხვადასხვა ტრენინგების, შეხვედრების და სხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზებაში.

5. *საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;*

*ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ხოლო ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში.*

*ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.ასევე მოქმედებს ელექტრონული სისტემა openbiblio. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია: ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.*

6. *სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;*

*დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში, ლიფტი და სველი წერტილები.*

*დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მექანიზმი“ , სადაც გაწერილია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცედურები. დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*შემთხვევაში პროფესიული მასწავლებელი მიმართავს კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, მათი მეშვეობით ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და აქედან გამომდინარე გეგმის შედგენის საჭიროება, რის შემდეგაც კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის კომისიას, რომელიც ახდენს ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას თითოეული მოდულის/სწავლის შედეგის ფრაგლებში სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. საბოლოოდ შემუშავებული ინდივიდუალური გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელს.*

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი კონკრეტულად სსსმ პირებისთვის განსაზღვრულია სსიპ კოლეჯი „ფაზისი“–ს სასწავლო პროცესის მარეგურილებელ დოკუმენტში „ პროფესიული სტუდენთა დებულება“ საიდანაც ვგებულობთ, რომ დაწესებულებაში არსებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ სტუდენტის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, სტუდენტის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას საჭიროების შემთხვევაში ქმნის სსსმ პირის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს ერთ კვირაში, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციას სსსმ სტუდენტის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით (დასკვნის შესაბამისად).

***7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.***

დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი აღზრდა“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, საპროგნოზო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 12 პროფესიული სტუდენტი;

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ხელშეკრულებები;
- პირადი საქმე;
- ბიუჯეტის ფორმა;
- „პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესი“;
- „ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მექანიზმი“
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დორექტორის 2021 წლის 12 მარტის #01/18 ბრძანება;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა, პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე.

შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, რომელიც გამოავლენს საუკეთესო ადგილობრივ/საერთაშორისო პრაქტიკას, აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

**პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს მოდულური პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამატების წესი“ (დამტკიცებული დირექტორს ბრძანება N 01-15 26.02.2020) სადაც გაწერილი საგანამანათლებლო პროგრამის განვითარების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების,შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილებების ინიცირება (სამუშაო ოქმის სახით) შეუძლია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში დირექტორის მოადგილეს, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამი ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პირს, პროფესიულ სტუდენტს.

**დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პსდ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის 2020 წლის 11 ივნისი ბრძანება N04-77 ” სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N04-70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ”
- პსდ კოლეჯი „ფაზისი“-ს დირექტორის 2018 წლის 16 აგვისტოს ბრძანება პსდპროფეასიული კოლეჯი „ფაზისი“-ში მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ.
- პსდ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-68 „პსდპროფესიული კოლეჯი „ფაზისი“ მოდულური პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ კითხვარები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მოდულებს აღნიშნულ პროგრამაში არ აქვს წინაპირობები. სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესში, გაწერილია წინაპირობიანი მოდულის განმეორებით ჩაბარების ვადები. უარყოფითი შედეგის მიღების შემთვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ. მოდულის განმახორციელებელი პედაგოგი პროფესულ სტუდენტს აწვდის ინფორმაციას შედეგის დადასტურება/არდადასტურების შესახებ შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს სამი დღისა (წინმსწრები მოდულის შემთხვევაში არაუგვიანეს მეორე დღისა).

პროფესიულ სტუდენტს ჩატარებული შეფასების შედეგად მიღებული შედეგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს მიღებული შედეგი, რის შესახებაც პროფესიულმა სტუდენტმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს წერილობითი განაცხადით. (წინმსწრები მოდულის შემთხევაში იმავე დღეს). კოლეჯის დირექტორი ორი სამუშაო დღის ვადში იწვევს სააპელაციო კომისიას საკითხის განსახილველად. კომისია განიხილავს (საკმარისი/ავთენტური მტკიცებულებების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება) და მიღებულ გადაწყვეტილებას არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯრი აცნობებს პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს.

**პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება. „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესისას და პროცედურების დამტკიცების

**დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

3. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების პროფესიულ გამვითარება/კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

**სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას**

4.კოლეჯი პროფესიული პროგრამების შეფასებას ახორციელებს პროფესიული პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საშუალებით. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები რეგულარულად ესწრებიან ლექციებს პრაქტიკულ მეცადინეობებს, მეცადინეობებზე და შეფასებაზე დასწრების ფორმების საშუალებით, ასევე აწარმოებენ პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას შემუშავებული კითხვარის საშუალებით, საჭიროებისამებრ ხორციელდება ჯგუფის წევრების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეხვედრა, შეხვედრის მიზანია სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზების და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების განხილვა და მათი აღმოფხვრის გზის დაგეგმვა/განხორციელება. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები**

5. პრაქტიკული პროფესიული მოდულებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „გიმნაზია“ და „[redacted] რომელიც გულისხმობს აღნიშნული მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის მასპინძლობას და სტუდენტებისთვის სამუშაო გარემოს და პროფესიის სპეციფიკის გაცნობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით**

**6.** პროფესიული საგანმანათლბლო პროგრამის სპეციფიკა და სასწავლო გარემო უსაფრთხოების რაიმე განსაკუთრებულ პირობებს არ ითვალისწინებს.

**სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესი (დამტ. 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-70)
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ (დირექტორის ბრძ. N 04-31 18.03.2021)
- სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციასთან;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესში (დამტ.2020 წლის 29 მაისს) გაწერილი აქვს შეფასების სისტემის მიმართ არსებული მოთხოვნები. შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭირვალე,სამართლიანი და ობიექტური.

**პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

2. დაწესებულებას სწავლის შედეგების შეფასების წესში გაწერილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. პროფესიული განათლების მასწავლებელის/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემდეგ ვალიდაციას აკეთებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შედის: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი;ვერიფიკაციის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ახდენს ვერიფიკაციის პროცესის კორდინაციას და პასუხისმგებელია ვერიფიკაციის როგორც პროცესზე ასევე შედეგზე;

**პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3.დაწესებულებას სწავლის შედეგების შეფასების წესში გაწერილი აქვს, რომ უწყისის ფორმას შეიმუშავებს კოლეჯის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი; სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ. უწყისის შევსებისა და გაფორმების პროცესს აწარმოებს და აკონტროლებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;

**პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

4.სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. ექსპერტთ შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „სწავლის შედეგების შეფასების წესი“
- მოდულის განხორციელების და შედეგის დადასტურების შეფასების კითხვარები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

№ ... „ფიზიკა“-ს დირექტორის 2018 წლის 16 აგვისტოს ბრძანება

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი

31.05.2021



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: